<u>დანართი №6</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **იურიდიული ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრული დატვირთვისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, არანაკლებ სავალდებულო კვირეულ 8-საათიან სააუდიტორიო (პედაგოგიური) და 8-საათიან საკონსულტაციო დატვირთვას, ასოცირებული პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრული დატვირთვისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, არანაკლებ სავალდებულო კვირეულ 10-საათიან სააუდიტორიო (პედაგოგიური) და 10-საათიან საკონსულტაციო დატვირთვას და ასისტენტ-პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრული დატვირთვისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, არანაკლებ სავალდებულო კვირეულ 12-საათიან სააუდიტორიო (პედაგოგიური) და 12-საათიან საკონსულტაციო დატვირთვას, შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 3550 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი – თვეში 3000 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი – თვეში 1660 ლარი;

1[1]. წინამდებარე დანართის პირველი პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;
ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;
გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);
დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);
ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი).

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო,

ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასისტენტ–პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8-საათიან სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8-საათიან საკონსულტაციო დატვირთვას და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1450 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1220 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1135 ლარი.

3. ასისტენტის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1000 ლარით. ასისტენტის თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს არანაკლებ სავალდებულო კვირეული 8-საათიანი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და 8-საათიანი საკონსულტაციო დატვირთვის შესრულება.